გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულება № 11.

ქ. წალენჯიხა 23 მარტი 2022 წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ხარჩილავას სახით, და მეორეს მხრივ, შპს „პლანეტა“ დირექტორის ბადრი ხონელიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ – „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებუ-ლებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველმა“ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის ასიგნებების ფარგლებში გააფორმა ხელშეკრულება „მიმწოდებელთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, (cpv-30197630 საბეჭდი ქაღალდი) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და საკრებულოსთვის საბეჭდი ქაღალდის მიწოდებაზე, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 2250 (ორიათასორასორმოცდაათი) ლარს.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად შესრულებული მომსახურების და მოწოდებული საქონლის მოცულობის საფუძველზე.

3.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების შესრულებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. „შემსყიდველის“ მიერ შეკვეთილი შეკვეთილი 150 შეკვრა A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი. 1 შეკვრის ფასი 15 ლარი.

5. მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურების შესრულებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. 5.1. პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მიწოდებული საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1. ვადები:

6.1. შესასრულებელი საქონლის მიწოდების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

6.2. ადგილი:

6.2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე: ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი N 23.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება „შემსყიდველის“ მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევის „მიმწოდებლის“ მიერ ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტების შესაბამისად.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში. მიღება ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტების შესაბამისად.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.1.1. უზრუნველყოს მისაწოდებელი საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 28 მარტის ჩათვლით.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. საჭირო დოკუმენტების „მიმწოდებლის“ მიერ გადაცემის შემდგომ უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების 8.1. პუნქტის შესაბამისად.

10. მხარეთა უფლებები

10.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

10.1.1. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

10.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება მიმდინარე ეტაპზე შესრულებული მომსახურების მოცულობის შესაბამისად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მოწოდებული საქონლის ინსპექტირება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში ხელშეკრულებაში მითითებული თარიღიდან და დასტურდება მხარეთა მიერ ელექტრონული ხელმოწერებით.

17.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 23 მარტიდან 2022 წლის 27 აპრილამდე არსებული მხარეთა მიერ აღებული (წარმოშობილი) ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ერთი – "შემსყიდველთან

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია ს. კოდი 242739248	შპს „პლანეტა“
	ს. კოდი 419991021
მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5. II სართული.	მისამართი: ზუგდიდი. გამსახურდიას გამზირი №23
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ტელ: 596 00 08 88	ბ. კოდი LBRTGE22
	ა/ა GE91LB0113129819469000
	ტელ: 555 37 10 70
George Kharchilava Digitally signed by George Kharchilava Date: 2022.03.23 16:50:21 +04'00'	Badri Khonelidze Digitally signed by Badri Khonelidze Date: 2022.03.23 12:26:35 +04'00'
გიორგი ხარჩილავა	ბადრი ხონელიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. წალენჯიხა 23 მარტი 2022 წ.

ვადასტურებ, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიას და შპს „პლანეტა“-ს შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2022 წლის 23 მარტს გაფორმებული N 11 ხელშეკრულების, წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის საბეჭდი ქაღალდის მიწოდების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესყიდვის პროცედურაში მონაწილე შპს „პლანეტა“-ს მიმართ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი George Kharchilava Digitally signed by George Kharchilava Date: 2022.03.23 18:06:32 +04'00' გიორგი ხარჩილავა